87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №19 {7024} 1 ოქტომბერი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

გიორგი გახარია - როდესაც მივაღწევთ ევროპულ სახელმწიფოს, ყველა მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, რა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას, მოუნდება თქვას, რომ ამ დიდი საქმის ნაწილი იყო

20 სექტემბერს, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმის ეზოში „ქართულმა ოცნება—დემოკრატიულმა საქართველომ“ საქართველოს პარლამენტში ზესტაფონი—თერჯოლა—ტყიბული—ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატობის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები წარადგინა.

იხ. უფასო პოლიტიკური რეკლამის გვერდი 4.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

განმეორებით გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო კამპანიის პერიოდში, საარჩევნო სუბიექტების ფასიანი და უფასო რეკლამების განსათავსებლად „თერჯოლის“ მიერ გამოყოფილი ფართების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, ძალაშია არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე.

ამასთან, განვმარტავთ, რომ გაზეთის გვერდებზე რეკლამების (მე-4 გვერდი—უფასო რეკლამა; მე-5 გვერდი—ფასიანი რეკლამა) განთავსების შესახებ საარჩევნო სუბიექტებმა მასალები უნდა წარმოადგინონ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლამდე ერთი კვირით ადრე, სხვა შემთხვევაში აუთვისებელი ფართები გადანაწილდება სხვა სუბიექტებზე.

„თერჯოლის“ მორიგი ნომერი გამოვა 2020 წლის 15 ოქტომბერს.

ზედა სიმონეთში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია აკურთხეს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთში, ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგი შალამბერიძემ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია აკურთხა.

ტაძარში უკვე მიმდინარეობს ღვთისმსახურება, რომელსაც ტაძრის მოძღვარი მამა ამირანი (ქარქაშაძე) უძღვება. ტაძრის მშენებლობა ადგილობრივმა ბიზნესმენმა ოლეგ ბაზაძემ დააფინანსა.

ეკლესიის კურთხევას და საზეიმო წირვა-ლოცვას საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, ეპარქიის სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად ესწრებოდა.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა!

გვახსოვდეს აფხაზეთი...
გვახსოვდეს სოხუმი...
გვახსოვდეს სამშობლოსათვის დაღუპული გმირები...

☞3



სიქთარვის საჯარო სკოლა ახალ შენობაში...

☞5

თერჯოლის მუნიციპალიტეტი დასუფთავების საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა

დასუფთავების ამ ტრადიციულ აქციაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, ა(ა)იპების თანამშრომლებთან და მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

დასუფთავდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საავტომობილო გზების მიმდებარე ტერიტორია, ქალაქის ცენტრი, სოფლების ადმინისტრაციული შენობებისა და ტურისტული ლოკაციების მიმდებარე ტერიტორიები.

დასუფთავების აქცია, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, მსოფლიო ჯანდაცვის რეკომენდაციებისა და სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით, მცირე ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა.

საერთაშორისო კამპანია—„დავასუფთაოთ მსოფლიო“ 1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით დაარსდა. იგი ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება და ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქციების ჩასატარებლად მთელი რიგი ქვეყნების ხელისუფლებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს აერთიანებს. მასში 130-ზე მეტი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის საქართველო.

საქართველოში ღონისძიება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები - საქართველოს“ ორგანიზებით და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ტარდება.

2020 წლის მსოფლიო დასუფთავების კამპანიის გზავნილია: „ყოველი მცირე ქმედება სამყაროს განსხვავებულს ხდის“.

კორონავირუსი და ჩვენ



კორონავირუსი კვლავ გვიტევს!

ჩვენდა სამწუხაროდ, კორონავირუსის აგვისტო-სექტემბრის ტალღა ერთობ მძიმე გამოდგა ჩვენი ქვეყნისათვის. ვირუსით დაავადებულთა ყოველდღიური მაჩვენებელი უკვე რამდენიმე დღეა სამნიშნა ციფრით გამოიხატება და 300 ერთეულის ფარგლებშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიქსირდება პირველი ტალღის შემთხვევების გაათმაგებული რაოდენობა.

ყოველდღიურად დაინფიცირებულთა რაოდენობა კვლავ დიდია აჭარაში, კერძოდ კი ბათუმში, სადაც უკვე შეწყვეტილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და დაწესებულია სხვა შეზღუდვები. მდგომარეობა გაუარესდა გურიაში, სადაც ჩაიკეტა სოფელი ლაითური. ადრინდელთან შედარებით დაინფიცირების შემთხვევებმა მოიმატა იმერეთში, საქართველოს რიგ რეგიონებში. ჩვენი გაზეთის ბეჭდვაში ჩასვლის წინა დღეებში, კერძოდ კი 28 სექტემბერს საქართველოში დაფიქსირდა დაინფიცირების კვლავ ერთ-ერთი ყოველდღიური რეკორდული მაჩვენებელი - 298. სამწუხაროდ, ამ დღეს დაფიქსირდა გარდაცვალების 4 შემთხვევა და

გარდაცვლილთა საერთო რაოდენობამ სამ ათეულს გადააჭარბა.

ასეთი ვითარების ფონზე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების და კორონავირუსის გავრცელების პრევენციის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით რამდენადმე გამკაცრდა პრევენციის ღონისძიებები.

კვლავ შეიზღუდა ქორწილები, დაბადების თუ სხვა სადღესასწაულო შეკრებები, ქელეხები. მხოლოდ საარჩევნო კამპანიის გამო დაიშვა საგიტაციოდ 200-მდე ამომრჩევლის შეკრება.

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ახალი სასწავლო წლის დაწყება გაცხადებული იყო 15 სექტემბერისათვის, რაც სამწუხაროდ, მხოლოდ ქვეყნის სასოფლო რეგიონებში გახდა შესაძლებელი, ქვეყნის დიდ ქალაქებში კი ეს პროცესი 1 ოქტომბრისათვის გადაიდო, თანაც მხოლოდ პირველი-მეექვსეკლასელებისთვის, მაღალკლასელები კი დარჩნენ ონლაინ სწავლებაზე. ასევე სამწუხაროდ, ონლაინ რეჟიმზეა ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებელიც, რაც განათლების სფეროში მეტად არასახარბიელო სურათს ქმნის მითუმეტეს მაშინ, როცა მსოფლიო ბანკის კვლევების საფუძველზე ქართველი მოსწავლეები სწავლების თორმეტწლიანი პერიოდიდან 5 წელიწადს თურმე უქმად კარგავენ ანუ იმ ცოდნისათვის, რასაც ისინი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ღებულობენ, განათლების კარგად გამართული სისტემის პირობებში მხოლოდ 7-8 წელი იქნებოდა საკმარისი.

ჩვენთან საუბარში თერჯოლის მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ არჯევანიძემ აღნიშნა, რომ კორონავირუსის ახალმა ტალღამ თერჯოლას 9 კოვიდინფიცირებული ადამიანი შემატა, რომელთაგან ამჟამად 8 სტაციონარში მკურნალობს, ერთი კი ბინაზე, თვითიზოლაციში ამჟამად 27 მოქალაქეა. მისივე თქმით, მათ მიერ დადგენილია ყველა კონტაქტი და ჩატარებულია შესაბამისი ეპიდღონისძიებები საჭირო კატეგორიის პირების ტესტირების ჩათვლით.

როგორც იგი ამბობს, თერჯოლაში, ყოველ ორ კვირაში ხდება რისკ-ჯგუფებში შემავალი პერსონალის ტესტირება (ძევრის პანსიონატის ბინადრები და მათი მომსახურე პერსონალი, სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლები, იუსტიციის, შსს სამსახურებისა და ჯანდაცვის დაწესებულებების პერსონალი).

როგორც ვხედავთ, თითქოს ყველაფერი სწორად კეთდება, მაგრამ შემთხვევები მაინც იმატებს, თანაც საგრძნობლად. ვფიქრობთ, რომ ასეთი ვითარების შექმნაში, კორონავირუსის პრევენციის საქმეში არსებულ ხარვეზებთან ერთად ჩვენი მოქალაქეების დიდი წვლილიცაა, რომლებმაც როგორც ადრე, ვერა და ვერ გავითავისეთ, რომ კორონავირუსი არ არის დიდი საშიშროება მხოლოდ გადამთიელთათვის, რომ აუცილებლად უნდა დავიცვათ ჯანმოს რეკომენდაციები და სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეკომენდაციები.

კორონავირუსთან თანაცხოვრება იმას არ ნიშნავს, რომ ის ჩვენში „იჯდეს“, ჩვენში სწორედ იმის შეგნება და პასუხისმგებლობა უნდა „იჯდეს“, რასაც ამ რეკომენდაციებისა და რეგულაციების უმკაცრესად დაცვა ჰქვია!

ნებაყოფლობითი იზოლაცია

საკუთარ სახლ-კარში ახლა დამკვიდრებული კაცი გარდაიცვალა. დასაფლავების მეორე დღეს ხმა გავრცელდა, ოჯახის სტუმარი ბავშვი „კოვიდ 19“-ზე დადებითი აღმოჩნდაო. ყველა, ვინც პანაშვიდზე ან დასაფლავებაზე იყო, შეშფოთდა, მათ შორის მეც.

მიუხედავად იმისა, რომ ახლო კონტაქტი არავისთან მქონია, მარტო შიშმა კი არ შემიპყრო, სიკვდილზე ფიქრიც ამეკვიატა.

წარმოვიდგინე რას განიცდიან კარანტინში მყოფი ადამიანები, მათი ოჯახის წევრები და განსაკუთრებით ისინი, ვისაც დაუდასტურდა ვირუსი და მკურნალობს.

არავინ იცის რით მკურნალობენ ავადმყოფებს, რადგან ახალი ვირუსის სამკურნალო წამალი არ არსებობს, მცენარეული პრეპარატ „რაუნატინის“ გვერდითი მოვლენებიც კი დამაფიქრებელია და კორონას, როგორც მძიმე დაავადებას, რომ განკურნავს, იმ პრეპარატს რა მოჰყვება?! ბევრი რამეა სირცხვილი, მაგრამ ავადმყოფობა არა, ერთი განკურნებული ადამიანის ინფორმაცია, მრავალ ინფორმაციათა შორის, რატომ გახდა ასე მიუწვდომელი, ასე დაფარული იქნებ არც ისე საშიშია ყველაფერი, ან იქნებ არის კიდეც.

და მეჩვენებოდა, თითქოს ყელი მტკიოდა, ტემპერატურა მქონდა, თავბრუ მეხვეოდა და არავისთან ვკონტაქტობდი, ეჭვიანი გავხდი: თუ ვინმე მომიკითხავდა ვფიქრობდი—ალბათ რამე გაიგო, ალბათ ვინმეს აღმოაჩნდა, თუ არ მომიკითხავდა მაშინაც ცუდზე ვფიქრობდი—ვთქვათ იმაზე, რომ მერიდება. რვა დღის განმავლობაში ტემპერატურას მინიმუმ 4-5 ჯერ ვიზომავდი (8X5=40). ეტყობა ნერვიულობამ სულ დასცა ტემპერატურა—36,5-იც იშვიათად მქონდა, ვიბანდი ცხელი წყლით და ფანჯრებს ვკეტავდი, არ „დამგრილოსთქო“.

რა ხდება სინამდვილეში? ათასი ხმა დადის. მე, რომელსაც უსაფუძვლო შიში მქონია, გეტყვით: ნუ გავთამამდებით, ატარეთ პირბადე, მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, დაიცავით დისტანცია, მოერიდეთ ხელის ჩამორთმევას და მითუმეტეს „ხვევნა-კოცნას“.

რეკომენდაციების დაცვა არ იგრძნობა თერჯოლის ქუჩებში, მხოლოდ დიდ მარკეტებში, ბანკებსა და აფთიაქებში ითხოვენ პირბადის გაკეთებას და უკეთიათ ამ ობიექტების თანამშრომლებს. ძნელია პირბადის მოხმარების წესების დაცვა, მაგრამ ჯანრმთელობა ყველაფერია, მის გარეშე კი ყველაფერიც არაფერია.

* * *

მოგვიანებით ითქვა, რომ თითქოს არც იმ სტუმარს დაუდგინდა თურმე ვირუსი, ღმერთმაც ქნას, რომ მართალი იყოს, ხელი კი მიმიწვდება, მაგრამ ძნელია კითხვა, ახლა, რადგან ყველასათვის ყველაფერი კარგად დამთავრდა, „ცხადაძის კლასტერი“ მოდის —თქვა, ვხუმრობ, ყოველდღიურად სხვისი და შემთხვევითი ტრანსპორტის მომლოდინე, „ჩავეკვეხები“ თუნდაც მე-5 მგზავრად და როგორ არ გავიკეთო პირბადე, რას ვერჩი კეთილისმყოფელს. პირბადის მოხმარების წესი ასეთია:

—მოირგეთ სახეზე მჭიდროდ;

—გამოიცვალეთ ხშირად (მაქსიმუმ 2-3 საათში);

—დასველების ან დატენიანების შემთხვევაში გამოიცვალეთ დაუყოვნებლივ;

—მოიხსენით ფრთხილად ზონრებით, ისე რომ არ შეეხოთ ნიღბის გარეთა ზედაპირს;

—მოათავსეთ ცელოფნის პარკში, რომელსაც ჰერმეტულად შეკრავთ;

—მოხსნის შემდეგ აუცილებლად დაიმუშავეთ ხელები სპირტის შემცველი ხსნარით ან დაიბანეთ საპნითა და გამდინარე წყლით.

ნიღბის ხელმეორედ გამოყენების შემთხვევაში:

—გარეცხეთ ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებით;

—გარეცხვის წინ გაიკეთეთ ხელთათმანი და ნიღაბი ფრთხილად ამოიღეთ პარკიდან;

—გამოყენებული პარკი მოათავსეთ ნაგვის კონტეინერში;

—გამშრალი ნიღაბი გააუთოვეთ ცხელი უთოთი.

დაუშვებელია გამოყენებული ნიღბის სახეზე მოსმა, ცხვირის მოწმენდა, ჯიბეში ჩადება.

დაიცავით გამოყენების წესები და იქნებით დაცულები.

ჟუჟუნა ცხადაძე

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა!

უცხო ძალების მიერ პროვოცირებული სამხედრო კონფლიქტის შედეგად ერთწლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ სოხუმი ამ დღეს დაეცა. აფხაზეთში ცამეტ თვესა და ცამეტ დღეს გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედებები.

ამ თემაზე ბევრი დაიწერა და ბევრი დაიწერება. მემატიანენი თაობებს შეუნახავენ ობიექტურ სინამდვილეს—რა იყო და როგორ მოხდა...

იმედი კი არ გვტოვებს: ჩვენ, ქართველები და აფხაზები კვლავ დავუბრუნდებით ერთმანეთს, კვლავ ერთად ვიმღერებთ „ჩაკრულოსა“ და „ოდოიას“...

27 სექტემბერს ტკივილით აღვნიშნავთ იმისთვის, რომ თაობებმა იცოდნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის როგორი სიმამაცითა და თავგანწირვით იბრძოდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალები, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქართველი პატრიოტები, მ.შ. ჩვენი რაიონის მკვიდრნი.

ამასთან დაკავშირებით რედაქციაში სასაუბროდ მოვიწვიეთ ორი ომგამოვლილი მაღალჩინოსანი სამხედრო: ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ლილუაშვილი და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში ანდრო ვაშაკიძე.

მოგეხსენებათ ჯარისკაცებს არ უყვართ გარდახდილ ბრძოლებზე საუბარი, მაგრამ ამჯერად დაყვნენ ჩვენი გაზეთის სურვილს—მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის ეამბნათ ზოგი რამ მოძმეთა შორის სისხლიანი დაპირისპირების შესახებ.

წარმოგიდგენთ მათ:

ფოტოს ავტორი გიორგი ცაგარელი

ბატონი გიორგი (გია) ლილუაშვილი გვიამბობს, რომ: დაიბადა ქ. თერჯოლაში 1966 წლის 20 მაისს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გაგრძო დნეპროპეტროვსკის სამხედრო სასწავლებელში საჰაერო თავდაცვის განხრით.

არის თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. სამხედრო ჩინი—ავიაციის პოლკოვნიკი. წლების განმავლობაში მეთაურობდა ეროვნული გვარდიის შინაგანი ჯარების ბატალიონებს, საზენიტო სარაკეტო დივიზიონის შტაბს, იყო სამშვიდობო ძალების სამშვიდობო მისიის კოსოვოს ბატალიონის მეთაური და აფხაზეთში ოპერატიული განყოფილების უფროსი, ბოლოს კი დასავლეთის მიმართულების საჰაერო თავდაცვითი ძალების მეთაური.

ჰყავს მეუღლე ლელა ცხადაძე, შვილები: თამუნა და ირაკლი.

არის მზრუნველი და მოსიყვარულე ბაბუაც.

2014 წლის ივნისიდან ქ. თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა.

გამოირჩევა პრინციპულობითა და ობიექტურობით.

სამხედრო სულისკვეთებიდან გამომდინარე ვერ ეგუება საქმისადმი ზერელე მიდგომას და გულგრილობას. არის კოლეგიალური და შრომისმოყვარე ადამიანი.

ბატონი გია მოგვითხრობს, რომ ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როცა საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო და ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დღის წესრიგში დადგა საქართველოს ჰყოლოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები. როგორც სამხედრო პირმა გადავწყვიტე შემექმნა საბრძოლო ქვედანაყოფი, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით გაერთიანდნენ სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობით გულანთებული ახალგაზრდებიც და უფროსი თაობის წარმომადგენლებიც... ესენი იყვნენ: პაატა რობაქიძე, ამირან გუბელაძე, ანდრო ვაშაკიძე, გოგი ხაჭაპურიძე, ამირან აბულაძე, პაატა და მამუკა მაკარიძეები და სხვები. ყველას ვერ ჩამოვთვლით. ისინი პირველები იყვნენ თერჯოლის გვარდიის შემადგენლობაში, რომლებმაც შემდეგშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს პირველად, 90-იან წლებში, სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებში და შემდეგ აფხაზეთში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში.

პირადად მე 1990 წლიდან 2012 წლამდე ვმსახურობდი საქართველოს შეაიარაღებულ ძალებში, როგორც ოფიცერი (პოლკოვნიკი). დაჯილდოებული ვარ ორდენითა და მედლებით. მიღებული მაქვს რამდენიმე ჭრილობა.

ჩემი საბრძოლო ეპიზოდები იწყება სამაჩაბლოდან, შემდეგ იყო აფხაზეთი და 2008 წლის ომი, სადაც საჰაერო თავდაცვის დივიზიონს ვმეთაურობდი.

მთელი ჩემი ახალგაზრდობის წლები სამხედრო სამსახურში გავატარე. თითქმის ერთი წლის განმავლობაში უშუალოდ ვმონაწილეობდი საბრძოლო ოპერაციებში. მათგან გამოვყოფდი ეგ.წ. შრომა-ცუგუროვკის ფრონტის სტრატეგიულ მნიშვნელობას, კერძოდ ადგილს, რომელიც მტერს უღობავდა გზას სოხუმისაკენ. აქ ბრძოლები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. სწორედ იქ მივიღე მძიმე ჭრილობა. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი მებრძოლის სიცოცხლეც იქ დასრულდა გმირული სიკვდილით. დიდება მინდა შევუთვალო მათ სულებს.

ამჟამად აქტიურად ვმონაწილეობ მშობლიური რაიონის ცხოვრებაში, როგორც ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი.

რა თქმა უნდა, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები მაქვს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელთან.

***

ახლა ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელს ბატონ ანდრო ვაშაკიძეს წარმოგიდგენთ:

დაიბადა 1960 წლის 13 მარტს ქ. რუსთავში. საშუალო სკოლა ამავე ქალაქში დაამთავრა 1977 წელს. სოხუმის უნივერსიტეტში მიღებული აქვს ღვინის ტექნოლოგიის პროფესია. მეუღლე—მაია ცხადაძე 2019 წელს გარდაეცვალა. ჰყავს სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

1988 წლიდან მუშაობდა თერჯოლის სამხედრო კომისარიატში, ხოლო 1990 წლიდან თერჯოლის სწრაფი რეაგირების სამსახურში.

1993 წლიდან იყო ქ. ქუთაისში არსებული 21-ე ბრიგადის სახმელეთო ჯარების სარეზერვო ბატალიონის შტაბის უფროსი.

1991 წლიდან ბატალიონი მივლინებული იქნა აფხაზეთში, კერძოდ ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულაში, რომელიც ჩართული იყო საბრძოლო ოპერაციებში ტყვარჩელის მიმართულებით.

1993 წელს სოფელ მერკულაში წარმოებული საბრძოლო ოპერაციის დროს მიიღო ჭრილობა ფეხის არეში.

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში განკურნების შემდეგ განაწილებული იქნა თერჯოლის სამხედრო კომისარიატში კომისრის მოადგილედ.

2004-2008 წლებში მსახურობდა სენაკის ბრიგადაში სარეზერვო ბატალიონის მეთაურად.

მონაწილეობას ღებულობდა 2008 წლის აგვისტოს ომში, კერძოდ—გორის და ცხინვალის რეგიონებში.

2010 წლიდან სამხედრო სტრუქტურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გათავისუფლდა სამხედრო ძალების რიგებიდან.

2015 წლიდან ომის ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურშია—თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

როგორც თვითონ გვიამბობს: სამსახურის ფუნქცია გახლავთ ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება არსებული შესაძლებლობების ფარგლებში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გამოვუხატო გაზეთ „თერჯოლას“, რომელიც სისტემატურად აშუქებს ჩვენი სახელოვანი მებრძოლი ჯარისკაცების ცხოვრებისა და გარდახდილი საბრძოლო ოპერაციების ამსახველ მასალებს. კიდევ ერთხელ შევახსენებ საზოგადოებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების გვარ-სახელებს: ჭოგნარელი კახა ბრეგვაძე; ალისუბნელი მამუკა ბუცხრიკიძე; ალისუბნელი მალხაზ ბუცხრიკიძე; საზანოელი რამინ თავბერიძე; საზანოელი გიორგი კაპანაძე; თერჯოლელი ტრისტან სოფრომაძე; თერჯოლელი ალექსანდრე სულამანიძე; საზანოელი ანდრია ჭანტურიძე, რუფოთელი ვალერი დევიძე, ნახშირღელელი დავით მაჩიტიძე.

სამარადისო დიდება მათ სახელებს.

გმირებს სამშობლო არასდროს დაივიწყებს.

ნუგზარ გამყრელიძე,
ომის ვეტერანი

გვახსოვდეს აფხაზეთი...
გვახსოვდეს სოხუმი...
გვახსოვდეს სამშობლოსათვის დაღუპული გმირები...

„27 სექტემბერს 27 წელი გავიდა სოხუმის დაცემის დღიდან. ჯვართამაღლების ეს დღე მუდამ ტკივილიანი იქნება ჩვენთვის, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ერთმანეთს და ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად უნდა ვაშენოთ ძლიერი და ერთიანი საქართველო—ეს ჩვენი ვალია!“—ასე ითქვა 27 სექტემბერს თერჯოლაში, აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალზე, რომელიც გვირგვინით შეამკეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გურამ თურქაძემ, აფხაზეთის ომის მონაწილეებმა: საკრებულოში ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმდომარემ, ავიაციის თადარიგის პოლკოვნიკმა გიორგი ლილუაშვილმა, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა თერჯოლაში ანდრო ვაშაკიძემ და აფხაზეთის ომის სხვა ვეტერანებმა. მათ გაიხსენეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში დაღუპული გმირები.

ცნობისათვის—სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. ომი 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა.

გიორგი გახარია - როდესაც მივაღწევთ ევროპულ სახელმწიფოს, ყველა მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, რა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას, მოუნდება თქვას, რომ ამ დიდი საქმის ნაწილი იყო

20 სექტემბერს, თერჯოლაში, მმართველმა პარტიამ ზესტაფონი—თერჯოლა—ტყიბული—ბაღდათის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა ბეჟან წაქაძე, ხოლო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად ლაშა გოგიაშვილი.

ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, პარტიის აღმასრულებელი მდივანი კახი კალაძე, უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე და წარდგენილი კანდიდატები.

პრემიერ - მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას, თერჯოლაში არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ თერჯოლაში, ყველაფრის მიუხედავად, კიდევ ბევრი გამოწვევა რჩება. მისი თქმით, პრობლემაა შიდა გზები, რომელიც მოსაგვარებელია, ასევე, სასმელი და საირიგაციო წყალი, მოსაგვარებელია წყალარინების სისტემა ქალაქში.

„დიდი პატივია, დღეს, აქ, თქვენთან ერთად, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში, მომავალზე საუბარი. ადამიანის, რომელმაც ჯერ კიდევ მაშინ, უაღრესად თბილი იმერეთი, მაგრამ ხანდახან მწარე რეალობით, გადმოსცა უაღრესად ემოციურად. ეს ყველას კარგად გვახსოვს, ჩვენი ბავშვობის ნაწილია. ამიტომ, ჩვენც არ უნდა შეგვშინდეს სიმართლის და რაც ობიექტური რეალობაა, ყოველთვის იმაზე უნდა ვისაუბროთ. ჩვენი ძლიერი მხარეც კარგად უნდა ავხსნათ და ჩვენს სისუსტეებსაც უნდა ვხედავდეთ.

დღეს, თერჯოლაში, მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ ბევრი გამოწვევაა დარჩენილი. რა თქმა უნდა, პრობლემაა შიდა გზები, რომლებიც მოსაგვარებელია, სასმელი წყალი, საირიგაციო წყალი, ასევე პრობლემაა წყალარინების სისტემა ქალაქში. ამას ყველაფერს ჩვენ ერთად გავაკეთებთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თერჯოლა, ნელ-ნელა უნდა დაუბრუნდეს სოფლის მეურნეობის თავის ისტორიულ კულტურებს. თერჯოლაში კიდევ და კიდევ უფრო უნდა განვითარდეს მევენახეობა. ამისთვის, მე გპირდებით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააკეთებს სპეციალურ პროგრამას იმისთვის, რომ დასავლეთ საქართველოში და მათ შორის თერჯოლაში, ნელ-ნელა დავიწყოთ მცირე მარნების შექმნა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ მალე, სისტემური ინფრასტრუქტურის ნაწილში, როდესაც რიკოთის უღელტეხილის ჩქაროსნული გზა დამთავრდება, სულ რამდენიმე საათში იქნება შესაძლებელი თბილისიდან აქ ჩამოსვლა, რაც სერიოზულ იმპულსს მისცემს აქ ტურიზმის განვითარებას და ეს შენარჩუნებული, ულამაზესი, ისტორიული ბუნება, ულამაზესი ისტორიული ძეგლები, ციხესიმაგრეები, ის საავჭრო გზები, რომლებიც ისტორიულად თერჯოლაზე გადიოდა, ეს არის ის ისტორია და სიმდიდრე, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია და რომელიც ყოველთვის უნდა გამოვიყენოთ “—განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი გახარიას თქმით, სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია არის სისტემურად იზრუნოს ადამიანებზე და შეუქმნას თანაბარი პირობები ყველას.

„არ უნდა იყოს სხვაობა—ბავშვები რომელ სკოლაში სწავლობენ, თერჯოლაში თუ თბილისში, პენსიონერები თერჯოლაში ცხოვრობენ თუ თბილისში. მათ მაქსიმალურად დაახლოებული პირობები უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან. არ უნდა იყოს სხვაობა და სახელმწიფო ყოველთვის იზრუნებს მასწავლებელზე, ექიმზე, პოლიციელსა და ჯარისკაცზე, რადგან ეს ის ხალხია, რომლებიც სახელმწიფო სერვისებს აწვდიან მოქალაქეებს და ზრუნავენ თითოეულ მოქალაქეზე.

ჩვენ არაერთ პროგრამას ვახორციელებთ, იქნება ეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით - „აწარმოე საქართველოში”, ტურიზმის, თუ წარმოების მხარდაჭერის. თერჯოლაში რამდენიმე საკმაოდ კარგი საწარმო გაიხსნა - ქვის გადამამუშავებელი, მეტალის გადამამუშავებელი. ყველაფერი შედარებითია. იმერეთში, სხვებისგან განსხვავებით, ამ პროგრამების გამოყენებაში თერჯოლა ერთ-ერთი

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ჩემპიონია, ეს უნდა გავაგრძელოთ და ამისთვის ჩვენ დავიწყეთ პროგრამა - „სახელმწიფო - შენი პარტნიორი”, რაც ნიშნავს იმას, რომ ინიციატივის მქონე ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ გადადგან პირველი ნაბიჯი, გლეხობიდან გახდნენ ფერმერები, დაიწყონ ბიზნესი, წამოიწყონ ტურისტული საქმიანობა, აღარ დასჭირდებათ თბილისში ჩასვლა. თქვენთან, აქ, თერჯოლაში მიიღებთ სრულ ინფორმაციას იმ დონეზე, რომ შეგეძლებათ კონტრაქტის გაფორმებაც ამ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ეს პროგრამები ჩვენ გავაკეთეთ ერთადერთი მიზნით, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, იმის მიუხედავად, თუ რომელ რეგიონში ცხოვრობს, მას თუ შესწევს უნარი აიღოს რისკები თავის თავზე, გარისკოს იმ დათქმით, რომ სახელმწიფო გვერდით დაუდგება, გადადგას პირველი ნაბიჯი და შექმნას ღირსეული პირობები შრომისთვის, ღირსეული პირობები შეუქმნას თავის ოჯახს და შემდგომ შეძლოს დაასაქმოს მეზობელი, ნათესავი და ა.შ. ასე უნდა შევქმნათ ჩვენ ყველამ ერთად ძლიერი ქვეყანა, იმიტომ რომ ძლიერი თერჯოლის გარეშე ძლიერი საქართველო შეუძლებელია”—აღნიშნა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნელ-ნელა, ადამიანები აქ უნდა დაბრუნდნენ და ეს მათი პირადი გადაწყვეტილება და არჩევანი უნდა იყოს.

„ადამიანები აქედან სამუშაოდ არ უნდა მიდიოდნენ არა თუ თბილისში, არამედ ქვეყნის გარეთაც. მათ, ვისაც სურვილი აქვთ თავის მამაპაპისეულ ფუძეზე გააგრძელონ შრომა და ცხოვრება, ეს ის მინიმალური პირობებია, რომლებიც ჩვენ, როგორც მთავრობამ აუცილებლად უნდა შევუქმნათ თითოეულ მოქალაქეს.

ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიც ჩვენ ქვეყანა მივიღეთ, გზები, წყალმომარაგება, გაზიფიცირება, ხიდები - ეს ყველაფერი იყო ისეთ სავალალო მდგომარეობაში, სისტემურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გუშინაც ვთქვი და დღესაც გავიმეორებ - 8 წელი არ გამოდგა საკმარისი იმისთვის, რომ ეს სისტემური ინფრასტრუქტურა ნორმალურ ფორმაში მოგვეყვანა. მომავალი 4 წლის განმავლობაში, სახელმწიფო გეგმავს, სისტემურ ინფრასტრუქტურაში დახარჯოს 20 მილიარდი ლარი, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ესეც არ იქნება სამყოფი “— განაცხადა გიორგი გახაიამ.

პრემიერ-მინისტრმა არჩევნებზე საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ სამართლიან ბრძოლაში სამართლიანი გამარჯვებაა მთავარი.

„ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ერთად ყველა იმ დიდი და მნიშვნელოვანი საქმის კეთება, რომელიც უკვე დავიწყეთ. მიზანი მარტივია და არის ის, რომ თითოეულ ადამიანს, თანაბარ პირობებში ჰქონდეს თვითრეალიზების შესაძლებლობა. ის არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თბილისში ცხოვრობს, თერჯოლაში, ბათუმში, თუ სხვაგან. ჩვენ, ყველა უნდა შევთანხმდეთ იმისთვის, რომ ყველანი ერთად, არ აქვს მნიშვნელობა რომელ პოლიტიკურ ძალას წარმოვადგენთ, საბოლოო ჯამში, როდესაც ქვეყნის განვითარებაში მივაღწევთ ეკონომიკურად ძლიერ, სამართლიან, განათლებულ და ევროპულ სახელმწიფოს, მერწმუნეთ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, რა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას, მოუნდება თქვას, რომ ის იყო ამ დიდი საქმის ნაწილი. ამ დიდი საქმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება ეს არჩევნებიც და დარწმუნებული ვარ, რაც მთავარია, სამართლიან ბრძოლაში, სამართლიანად გავიმარჯვებთ. გამარჯვებას გისურვებთ თერჯოლელებო”—განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბეჟან წაქაძე

ჩემთვის უდიდესი პატივია, ვიყო დავით კაკაბაძის ფუნჯით და დავით კლდიაშვილის კალმით მოხატული კოპწია იმერეთის 4 მუნიციპალიტეტის - ზესტაფონის, ტყიბულის, თერჯოლისა და ბაღდათის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. მადლობა „ქართულ ოცნებას“ ამ ნდობისთვის და მადლობა ჩემს ხალხს, ჩემს ტრადიციების მოყვარე, მშრომელ, მოსიყვარულე იმერეთის მცხოვრებლებს, რომლებსაც ჩემი რწმენა და იმედი აქვთ.

სამრეწველო ინდუსტრიის კერა იყო და არის ზესტაფონის ფეროსა და კაბელების ქარხანა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკისა და სავალუტო შემოსავალში. დღეს ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისთვის, რომ დიდი ტრადიციების მქონე საწარმოები ძველი სიმძლავრით ამუშავდეს.

მე ვამაყობ, რომ ვარ ზესტაფონელი, ვამაყობ, რომ აქ დაიბადა უშანგი ჩხეიძე, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა, რომ აქ შეიქმნა ღვთაებრივი მელოდია სულიკო, მე იმერეთის შვილი მქვია და მჯერა ჩემი ხალხის. გავაკეთებ ჩემს მაქსიმუმს, რომ გავამართლო თითოეული ჩემი თანამოქალაქის რწმენა და იმედი!

მოვინახულე ტყიბული, მეშახტეებთან ერთად ერთი სამუშაო დღე დავყავი შახტში, რამდენიმე ასეული მეტრის სიღრმეში და ადგილზე გავეცანი მათ პრობლემებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქტიურად დაიწყო ტყიბულის ჩაის განვითარება, რომელიც განთქმული იყო თავის უნიკალური თვისებებით.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

თერჯოლა, ყოველთვის იყო და იქნება ქართული ტრადიციების მატარებელი კულტურული ცხოვრების კერა. ცქრიალა ღვინოების წარმოებით რაიონს ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეჭირა ქვეყანაში და ამ ტრადიციებს ახლაც აგრძელებს. თერჯოლაში შემუშავდა სახელმწიფო პროგრამები, რომლითაც უკვე ბევრმა მეწარმემ და ფერმერმა ისარგებლა. განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი.

ვაზის სამშობლოდ აღიარებულ საქართველოში, ბაღდათის რაიონი ყოველთვის გამოირჩეოდა ვაზის უნიკალური ჯიშებით. ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ძველშავი, ალადასტური - განუმეორებელი არომატის ღვინოებს იძლევა, რაც ძვირად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. სასიხარულოა, რომ რაიონში ეს ტრადიცია შენარჩუნებულია და განვითარების პროცესშია. აქ უკვე განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული და ბიზნეს პროექტი, რაც ძალიან თვალშისაცემი და სასიხარულოა.

თქვენ იმსახურებთ უკეთეს მომავალს! მე, როგორც ერთი რიგითი იმერელი, მიგულეთ თქვენს გვერდით, თქვენს გულშემატკივრად! ჩვენ, ყველანი ერთად, სამშობლოს სიყვარულით, რწმენით, შრომით მივაღწევთ შედეგს, იმ მიზანს, რასაც ღირსეული და გაბრწყინებული საქართველო ჰქვია!

ლაშა გოგიაშვილი

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ძალიან დიდი პატივია, რომ „ქართული ოცნების“ გუნდმა გამომიცხადა ნდობა და მომცა შანსი, თერჯოლას და თერჯოლელებს მერის რანგში ვემსახურო.

„ქართული ოცნების“ გუნდი, 2012 წლიდან ქართველი ხალხის და ქვეყნის სამსახურში ჩადგა. ჩვენ ერთად დავამარცხეთ ავტორიტარული რეჟიმი და საქართველოს მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარება დავიწყეთ, სადაც მთავარი ადამიანი, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ფუნდამენტური უფლებებია.

მე არ დავიწყებ თერჯოლაში და ზოგადად რეგიონში გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია, ვისაც სახელმწიფოს დახმარება სჭირდება, ჯერ კიდევ ბევრი ყოფითი პრობლემაა მოსაგვარებელი.

ამისთვის, საჭიროა, რომ ქვეყანას ჰყავდეს მზრუნველი, ეფექტური ხელისუფლება, ისეთი, როგორიც „ქართული ოცნებაა“. ძალა, რომელიც გაიმარჯვებს როგორც საპარლამენტო არჩევნებში, ისე ადგილობრივ დონეზე და ჩვენს შემთხვევაში, თერჯოლის განვითარებაზე ერთობლივად, ერთიანი ძალისხმევით იზრუნებს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი კიდევ ერთ, დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და საქართველოს განვითარებას ერთად გავაგრძელებთ. ერთად თერჯოლის წარმატებისთვის! ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

სიქთარვის საჯარო სკოლა ახალ შენობაში...

სიქთარვის საჯარო სკოლის ძველი შენობა დაანგრიეს, ნაწილ-ნაწილ დაასაწყობეს და გაიტანეს ვარგისიც და უვარგისიც. ძალიან მალე მძიმე ტექნიკამ ეზო მოასწორა და მშენებლობის დაწყების მაუწყებელი აბრაც გაჩნდა მომავალი სკოლის შენობის მაკეტით და წარწერით—შემსყიდველი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. მშენებელი ორგანიზაცია შპს „ალიანსი“. აბრა მშენებლობის დაწყებადამთავრებას იუწყებოდა...

სამუშაოთა მწარმოებელი რეზო შეროზია, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი იური კობერიძე, მემონტაჟე ბრიგადირი კახაბერ სვიანაძე, ჯერ კიდევ იანვარში, სკოლის მშენებლობის დროულად დამთავრების პირობას იძლეოდნენ, იმ ვარაუდით, რომ 2020 წლის სექტემბრის ზარი ახალი სკოლის შენობაში დაირეკებოდა.

დგას 2020 წლის სექტემბერი.

სკოლის ზარმა, ძლიერმა და ყოვლისმომცველმა ახალი სკოლის შენობისაკენ მიუხმო სიქთარველ მოსწავლეებს და არა მარტო მათ, საზეიმო განწყობა ჰქონდა სოფელს, თუმცა ჩანაფიქრი ფართო და მასშტაბური ღონისძიების მოწყობისა, სრულად ვერ განხორციელდა, რადგან მსოფლიოში და საქართველოშიც გავრცელებულმა პანდემიამ, „კოვიდ 19“-მა კვლავ მოიკრიბა ძალა.

დიახ, აბრა და მაკეტი ჩამოხსნილია, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სკოლის შენობა დგას სკოლის ძველი შენობის ნაცვლად. აქაურობას ამშვენებს სანატრელი ღია სპორტული მოედანი, რომელიც მთელი სოფლის ახალგაზრდებისათვის ღია იქნება, სპორტული და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, მაგრამ უნდა გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ, არაფერი დავაზიანოთ, სკოლას მუდმივად ეყოლება „მეთვალყურე“, მაგრამ მაინც...

პატარა ფრაგმენტი წარსულიდან

სიქთარვაში, სახალხო განათლების საქმეს, ყურადღება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მიექცა. მღვდლებმა ანტონ და ლავრენტი ფერაძეებმა ხალხის თხოვნით და ზემდგომი ორგანოს დადასტურებით, ნემსიწვერიძეების ეზოში ორწლიანი სკოლა გამართეს. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ანგარიშს, ღვთისმეტყველებას. მე-20 საუკუნის დამდეგს, სოფელში ჩნდება ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე. აიგო ოროთახიანი მიწის იატაკიანი ფიცრული, მოგვიანებით ნემსიწვერიძეების ეზოდან სკოლა ეკლესიის ეზოში გადაიტანეს. ამ სკოლის პირველ მასწავლებლად და გამგედ მინა ქოჩიაშვილი დაინიშნა. მოგვიანებით სოფელში ოთხწლიანი, მერე შვიდწლიანი და საშუალო სკოლაც აშენდა, ამ სკოლებს თაობები, სოფლის და მთელი ქვეყნისათვის სასახელო ადამიანები აღუზრდიათ...

იმედია—უკეთეს სკოლაში უკეთესი თაობა აღიზრდება!

დღევანდელი გადასახედიდან

ახალ სკოლაში მერხს 102 მოსწავლე მიუჯდა, რომელთა სწავლა-განათლების საქმეს 21 მასწავლებელი ემსახურება, აქედან 6 წამყვანი, 13 უფროსი მასწავლებლის სტატუსითაა, ორი უფროსი მასწავლებელი წამყვანის სტატუსს ელოდება. პირველკლასელებს: თეკლა ფანჩულიძეს, საბა ისაკაძეს, მართა სირბილაძეს, ილია გოგბერაშვილს, ბარბარე პატარიძეს—წარმოდგენაც კი არ აქვთ სკოლის ძველ შენობაზე, იქ არსებულ რთულ პირობებზე, სამაგიეროდ XII კლასელების მიერ განვლილი 11 წელი უკვე წარსულია, სიძნელის მიუხედავად, მარად დაუვიწყარი. წლის ბოლოს პირველი კლასის მასწავლებელი ნანა პატარიძე, XII კლასის დამრიგებელი და მასწავლებელი ხათუნა ფოცხვერაშვილი, როგორც თვითონ ფიქრობენ განსაკუთრებულ და ერთობლივ ღონისძიებას მიუძღვნიან—პირველკლასელები აღნიშნავენ როგორ დაიწყეს სწავლა ახალ შენობაში და XII კლასელები კი—როგორ დაიწყეს ძველში და ამთავრებენ ახალში...

წელს სკოლა 9 მოსწავლემ დაამთავრა, 6 სტუდენტი გახდა, ჰყავდათ ერთი ოქროსმედალოსანი ნანა რობაქიძე, ერთი ვერცხლისმედალოსანი მარიამ ჩიხლაძე. ახლა ისინი სტუდენტები არიან.

გახსნის დღეს მოსწავლეებს შვენოდათ ახალი, ერთიანი სასკოლო ფორმა და სკოლის კურსდამთავრებულის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ანანო რობაქიძის მიერ სკოლისათვის შექმნილი ლოგოც—„განათლებაშია თავისუფლება“.

* * *

2020 წლის 15 სექტემბრიდან სიქთარვის საჯარო სკოლის ახალ შენობაში სკოლის ახალი ისტორია დაიწყო. „ჩემი ხატია სამშობლო“—საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი მოეფინა სოფელს. სკოლის გახსნას ესწრებდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, მერიის სამსახურის ხელმძღვანელი გურამ თურქაძე, მერის წარმომადგენელი სოფელში გიზო ხანიაშვილი, საკრებულოს დეპუტატი კოტე ამაშუკელი, მათ მიულოცეს სკოლას, მთლიანად სოფელს სკოლის ახალი შენობის გახსნა და წარმატებები უსურვეს მოსწავლეებს, პედაგოგებს.

სკოლის შენობის გახსნის ცერემონიას, პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო, აკლდა სტუმრები, სამაგიეროდ იყო ტელეფონის ზარები, სკოლის დირექტორს ია კვატაიას ულოცავდნენ კოლეგები, მეგობრები, იყო გამორჩეული ზარიც—იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ დაურეკა იას და ყველა მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, მთელ სოფელს მიულოცეო—უთქვამს.

* * *

სკოლის მშენებლობაზე ბევრი სიქთარველი იყო დასაქმებული, მათი ჩამოთვლა ამ წერილში არ ხერხდება. ესაა ხალხი, ვისი შვილები და შვილიშვილები, რომლებსაც სხვადასხვა დროს აქ უსწავლიათ, სწავლობენ, ან მომავალში ისწავლიან, იამაყებენ, რომ არის ამ სკოლის მშენებლობაში მათი მამების, ბაბუების და უახლოესი წინაპრების წვლილიც.

* * *

იანვარში ნათქვამი—მშენებლობის დადგენილ ვადებში შესრულების თაობაზე, ეჭვის ქვეშ

დააყენა კორონავირუსის გამო შეჩერებულმა სამუშაოებმა, მაგრამ სამუშაოთა მწარმოებლები: რეზო შეროზია, ემზარ კუკავა, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი იური კობერიძე, მემონტაჟე ბრიგადირი კახაბერ სვიანაძე—თითქმის სიქთარვაში „დამკვიდრდნენ“, მუდმივად მშენებლობაზე ყოფნით, ერთგვარ მოტივაციას აძლევდნენ მშენებლებს, თითოეულ მომუშავეს, შედეგი სახეზეა—სიქთარვის საჯარო სკოლის მშენებლობა დამთავრდა. შპს „ალიანსი“ და თითოეული აქ მომუშავე ადამიანი—სოფლის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიკავებს.

* * *

ამჯერად ყურადღებას არ გავამახვილებთ იმ რეგულაციებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც კოვიდპანდემიამ განსაკუთრებულად წამოწია წინა პლანზე სასკოლო ცხოვრებაში, შემოგთავაზებთ მხოლოდ სკოლის დირექტორის, ია კვატაიას გამოსვლას შენობის გახსნის ცერემონიალზე, რომელიც ერთგვარი ფიცია.

„თურმე არსებობს ადამიანის ცხოვრებაში დღე, რომელიც ცალკე აღებული ერთი მთელი სიცოცხლეა. სოფელ სიქთარვაში სკოლის ახალი შენობის გახსნის დღე ჩემთვის სწორედ ასეთი დღე იყო. სოფელში საუკუნის პროექტი განხორციელდა და მე ბედნიერი დირექტორი ვარ, რომ ყველა პროცესმა ჩემს ხელში გაიარა. არსებობს უამრავი ადამიანი, სტრუქტურა თუ დაწესებულება, რომელიც ამ საშვილიშვილო საქმეში იყო ჩართული და ვინც განაპირობა, რომ ახალი სასწავლო წელი მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში დაგვეწყო. თუმცა განსაკუთრებული მადლობა მაინც სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიმართ მინდა ვთქვა. განუსაზღვრელია მადლიერება ყველას მიმართ, ჩვენ კი საქმით ვეცდებით გადახდას. მადლობის წილ ყველაზე მეტად ფიცს ვდებ ჩემი მოსწავლეების, თანამშრომლების, მშობლების, სოფლისა და ზოგადად ქვეყნის წინაშე. ვფიცავ, ყოველთვის ვიქნები ერთგული მსახური, სანდო მეგობარი, იმედიანი მრჩეველი ჩემი მოსწავლეებისა, ყოველთვის ვუმეგზურებ მათ სავალ გზებზე, ვასწავლი შრომის ფასს, განათლების მნიშვნელობას, თავისუფლების უპირატესობას, მეყვარება ისინი, როგორც საკუთარი სისხლი და ხორცი, ვასწავლი და აღვზრდი სამშობლოს მოყვარე ადამიანებად და ვიქნები მათთვის ეტალონი.

არაჩვეულებრივი განცდაა, როცა უამრავი ადამიანის კმაყოფილ სახეს ხედავ და გიჩნდება მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ გაასმაგებულად იფიქრო სკოლის მოვლა-პატრონობაზე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. საოცარ ძალასა და ენერგიას მაძლევს დამოკიდებულება თუნდაც პატარების მხრიდან, რომ მათ ნამდვილად აქვთ მზაობა, მოუარონ სკოლის ყოველ კუთხეკუნჭულს.

საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობები ჩვენს სკოლას არასოდეს აკლდა, თუნდაც ბოლო სამი სასწავლო წლის განმავლობაში, როცა ორ ცვლაში საკმაოდ პატარა ოთახებში ვსწავლობდით, მაგრამ მიმდინარე სასწავლო წლიდან ჩვენი სკოლის მოსწავლეები და არა მარტო ჩვენი, საინტერესო აქტივობების მოლოდინში უნდა იყვნენ“.

ჟუჟუნა ცხადაძე

ოჯახი—სახელმწიფოს სიმტკიცისა და სიძლიერის საფუძველი

ყველგან და ყველაფერში ზღვარდაუდებელმა ლიბერალიზმმა წყალი შეუყენა ტრადიციულ ქართულ ოჯახს. როგორც ჩანს, ამ მხრივ, არც იმ ჩვენთვის საოცნებო ამერიკაში არიან დალხინებულნი.

„ჩვენი ლიბერალური განათლების სისტემა ბავშვებს ამერიკის სიამაყით კი არა, სიძულვილით ზრდის! ამერიკა ქრისტიანულ ფასეულობებზეა დაფუძნებული. ოჯახი ამ ქვეყნის აკვანი და კლდეა“—ეს სიტყვები დონალდ ტრამპმა 4 ივლისს, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, თავის ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე წარმოთქვა. მადლობა ბატონ პრეზიდენტს ამ ბრძნული სიტყვებისთვის.

რატომ გაუსვა ოჯახის მნიშვნელობას ხაზი? ნახეთ მისი წინამორბედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა რითი იწონებდა თავს: მე ამაყი ვარ, როგორც პრეზიდენტი, რადგან პირველმა მოვაწერე ხელი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასო. და... წავიდა ერთსქესიანთა ქორწილები და გეიაღლუმები.

სხვამ თავისი იცის, ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, განა ცოტა გვყავს ქართული ტრადიციული ოჯახის საძირკვლების მოშლის შინაური თუ გარეული მოსურნენი? აღწევენ კიდეც ნელი-ნელ მიზანს: მატულობს დანგრეული ოჯახებისა და განქორწინებულ წყვილთა რიცხვი, განსაკუთრებით ახალდაქორწინებულთა შორის, რაც პირდაპირ უარყოფითად აისახება დემოგრაფიულ სიტუაციაზე. პრობლემასთან დაკავშირებით შევხვდით თერჯოლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს მამა სპირიდონს და ვთხოვეთ ესაუბრა ოჯახთან დაკავშირებულ ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა ქორწინების საიდუმლო, ცოლ-ქმრის პასუხისმგებლობა ოჯახის შექმნის და შემდგომ პერიოდში, პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ოჯახის სიმტკიცეს და მათი დაძლევის გზები...

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ!

ჯერ კიდევ სამოთხეშივე, როდესაც ღმერთმა შექმნა სამყარო და მისი გვირგვინი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ადამი იყო სრულ ნეტარებაში, მას არ ჰყავდა გვერდით ადამიანი, რომელსაც თავის აზრებს გაუზიარებდა. ამის გამო ღმერთმა მისი ნეკნისაგან შექმნა დედაკაცი, რომელსაც შემდგომ თავად ადამმა ევა, ანუ სიცოცხლის საწყისი უწოდა.

შეცოდების შემდგომ ადამი და ევა ხდება ადამიანთა გამრავლების სათავე.

ცოლი და ქმარი პირველ რიგში მეგობრები არიან. ცოლ-ქმარზე ამბობს უფალი, რომ ისინი არიან ერთ სულ და ერთ ხორც, რაც დედა-შვილზეც კი არ არის ნათქვამი. ცოლ-ქმარი არის ერთი მთლიანი ორგანიზმი. ცოლ-ქმრობა უდიდესი სულიერი ერთობა და საიდუმლოებაა.

ნებისმიერი პატარა ნივთიც კი ერთგვარი დანაკარგია, როდესაც იგი ჩვენი ოჯახიდან მიაქვთ, ხოლო, როდესაც შვილი თხოვდება, სახლიდან მიდის და სხვას მიჰყვება, ამას ბედნიერება ჰქვია.

ქორწინების შედეგად ცოლ-ქმარს ეძლევა ერის გამრავლების საშუალება. მინდა შევახსენო ყველას, რომ ცოლ-ქმრობა ეს არ არის მხოლოდ ნეტარება. მეუღლეობა ეს არის ცხოვრებისეული ტვირთის ერთობლივი ზიდვა და უდიდესი პასუხისმგებლობა, მაგრამ, როცა ამ ტვირთის ზიდვა ხდება ღვთისადმი მორჩილებით, ურთიერთსიყვარულით, მიმტევებლობით და დათმობით, მაშინ ხდება ოჯახი ბედნიერების წყარო. საერთოდ ოჯახის სიმტკიცე ქვეყნის სიმტკიცის და სიძლიერის საფუძველია.

დღესდღეობით ჩვენს გარშემო უამრავი დანგრეული ოჯახია, მიზეზი ამისა უამრავია. მე რამოდენიმე მათგანს შევეხები: მთავარი პრობლემა ოჯახის დანგრევისა, ეს არის ცოლ-ქმრის არასწორი შეხედულება ოჯახზე, რასაც ემატება და თავის უარყოფით დაღს ასვამს ტელევიზიითა და ინტერნეტით მოვარდნილი უზნეობის ნიაღვარი. ქორწინება ღვთის წინაშე ვალდებულებაა. ცოლ-ქმარი უნდა ცხოვრობდეს ერთმანეთისთვის. ორივეს უნდა შეეძლოს შეუნდოს ერთმანეთს და ყველაფერი მოწესრიგდება.

დღესდღეობით ხშირია არასრულწლოვანთა ქორწინებანი, რაც მისასალმებელი ნამდვილად არ არის. ასეთი ოჯახები მოკლე დროში იშლება. როცა არასრულწლოვანია ან ერთი, ან მეორე მხარე, მათ არ აქვთ გათავისებული ღვთისა და ერთმანეთის წინაშე თავიანთი ვალდებულებები. ისინი არც ფიზიკურად არიან მომზადებული ქორწინებისათვის, რაც იწვევს ერთგვარ დაბრკოლებას და ხშირად დავის საგნად ხდება. სასურველია ცოლიც და ქმარიც იყოს სრულწლოვანი, ჩამოყალიბებული, ოჯახის შესაქმნელად მომზადებული. მათ უნდა ესმოდეთ ქორწინების საიდუმლოს არსი. დღეს ხომ ათასი ჯურის ლიბერასტები ყურს უხედნიან საზოგადოებას ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების აუცილებლობაზე, რომ თურმე როგორც ქმარს, ისე ცოლს უფლება აქვს ჰყავდეს პარტნიორი. ეს ყოველივე სატანურია და მიმართული ოჯახის დანგრევისა და არ არსებობისაკენ. ოჯახის დანგრევა კი ღვთის წინაშე ბრძოლას ნიშნავს.

ოჯახის სიმტკიცე ცოლ-ქმრულ სიყვარულს ეფუძნება. ცოლ-ქმრული სიყვარული ერთმანეთისათვის თავგანწირვაა და უმნიშვნელოვანესი პირობა შვილების სწორად აღზრდისათვის. არანაირად არ შეიძლება იგი მხოლოდ ხორციელ ვნებათა დაკმაყოფილებაზე იყოს დაფუძნებული. ჯერ კიდევ 8 საუკუნის წინათ ბრძანა შოთა რუსთაველმა: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი“. დღევანდელ საზოგადოებაში სიძვა და სიყვარული ერთმანეთში არის აღრეული. რას ნიშნავს მეუღლე ჰყავს და სხვა შეიყვარა?! ეს უკვე გარყვნილებაა. წმ. წერილში წერია: „რომელმაც ცოლი გაუშვას სიძვის მიზეზის გარეშე, ის ამრუშებს, ხოლო ვინც გაშვებული შეირთოს, იგი მრუშობსო“. ე.ი. ერთადერთი მიზეზი ცოლ-ქმრის გაცილებისა არის ღალატი.

ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო და მისი მომავალი, უნდა უერთგულოს ოჯახს, დაიცვას ტრადიციული ქართული ოჯახის რიგი და წესები.

მამას დედა უყვარს, დედას-მამა, ორივეს კი შვილები—აი, ეს კანონზომიერება უნდა იქნას დაცული და შენარჩუნებული.

ესაუბრა ი. ერაძე

P.S. ზემოთ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის სიტყვები ვახსენეთ. ტრამპმა ეს იმიტომაც თქვა, რომ მთელმა მსოფლიომ იხილა, როგორი სიძულვილით ექცეოდნენ ლიბერალურად აღზრდილი ახალგაზრდების ბანდები ამერიკის სახელმწიფოებრივ სიმბოლოებს, დამფუძნებელი მამების ძეგლებსა თუ პოლიციას.

დიახ, როგორც ტრამპის ჭეშმარიტ ამერიკაში, ისე ათასწლოვანი ტრადიციების საქართველოში—ოჯახი ქვეყნის ქვაკუთხედი და კლდეა!

უფალი შეეწიოს ტრამპის „ქრისტიანულ ამერიკას“, უფალი შეეწიოს ათასწლოვან მართლმადიდებლურ საქართველოს!“

ღმერთმა ტრადიციული ქართული ოჯახი ნუ მოგვიშალოს!

„სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი“

...მარიამ ბარდაველიძის ორი თარიღი დაბადების—1997 და გარდაცვალების 2020 წელი, ისე ახლოსაა ერთმანეთთან, შეძრავს ადამიანს. რა არის 23 წლიწადი, მხოლოდ გზის დასაწყისი. მერე რა გზა ჰქონდა გასავლელი! ბარდუბნის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი და ილიას უნივერსიტეტში გრანტით ჩარიცხული, ოცნებობდა მასწავლებლობა მთიან სოფლებში დაეწყო, მიეღო გამოცდილება, მერე კი საზღვარგარეთ გაეღრმავებინა ცოდნა. ადრე წავიდა და ათასი ოცნება დარჩა განუხორციელებელი. წავიდა და დიდი ტკივილი დაუტოვა დედას, ქალბატონ აზას, პედაგოგს, ჯერაც მგლოვიარეს ღირსეული მეუღლის, ბარდუბნის სკოლის დირექტორის რამაზ ბარდაველიძის გარდაცვალების გამო. წავიდა და ტკივილი დაუტოვა ძმას ვეფხიას, ილიას უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტს, დას ლიზის, მერვე კლასის მოსწავლეს, წავიდა და აავსო მთელი სოფელი, რაიონი, საქართველო, დიახ, გადაუჭარბებლად, მთელი საქართველო, რადგან სამკურნალოდ საზღვარგარეთ წასასვლელი თანხები, მთელი საქართველოდან გროვდებოდა. სულ რამდენიმე დღეში ათასობით ლარი დაიდო მარიამის ანგარიშზე...

მაგრამ რჩეული გოგონა, მარიამ ბარდაველიძე, ავადმყოფობის გამოვლენიდან რამდენიმე დღეში ანგელოზებმა იხმეს, მათ გვერდით სამუდამოდ დასამკვიდრებლად. მალე ცად ამაღლდება მარიამის უსპეტაკესი სული და უფლის წიაღიდანაც სიყვარულისკენ მოგვიწოდებს... და მიეახლება ძვირფას მამას, რომელიც ისე უყვარდა, სიკვდილის მოახლოების ჟამსაც კი მასზე ლაპარაკობდა თურმე.

„ეს არის მხოლოდ რაც შეგვიძლია“

...ეს სიტყვები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს ეკუთვნის. აი, რა თქვა ბატონმა გიორგიმ:

„თან შეძრული ვარ და თან ძლიერი. თან ცრემლიანი და თან ღიმილით. გახსოვთ მარიამ ბარდაველიძე? გოგონა, რომელიც ათიოდ დღეში ლეიკემიამ იმსხვერპლა, გოგონა, რომელიც ვეცადეთ და ვერაფრით გადავარჩინეთ, გოგონა, რომლის შველასაც დედამისი მისი სიცოცხლის ბოლო დღესაც მეხვეწებოდა, მე—ვერაფრისმქნელს. ჰოდა, მას მერე დედასთან შეხმიანება ვერ შევძელი. ვაღიარებ—ძალა არ მეყო. ამასწინ, მოულოდნელად თვითონ გამომიგზავნა მარიამის საოცარი ჩანაწერები. იქაც დავიბენი. მხოლოდ ორი სიტყვა ამოვღერღე. ქალბატონი აზა, ადამიანი სოფელ ბარდუბნიდან, მწერს—მარიამის გადასარჩენად რომ ფული შევაგროვეთ, ცოტა არ არის და ნაწილს თქვენ გადმოგირიცხავთო, თქვენს ფონდსო, ახალგაზრდების განათლებას მოახმარეთო. ასე მტკიცედ, ცრემლდამალულად მომწერა ქალმა, რომელსაც თვეების წინ ქმარი დაეღუპა, ახლა გოგონა. ქალმა, რომელიც სოფელში ცხოვრობს და ორი შვილი კიდევ ჰყავს და ძალიან დიდხანს ეყოლება. ქალმა, რომელსაც ძალიან სჭირდება ფული. გინდ სადღეგრძელოდ მოგესმეთ, გინდ ბრაზად, გინდ სასოწარკვეთად—ეს უფრო იმედის სიტყვებია - აზა მემანიშვილის მხრებზე დგას საქართველო, ადამიანის ჩრდილიდან და არა ჩვენი, ეკრანებიდან თუ სოციალური ქსელებიდან რომ ერთმანეთს ვეტოლებით, ვეპრანჭებით ან ვლანძღავთ. აზა მემანიშვილის მხრებმა ატარეს აქამდე და აწიც ასე იქნება. ასე მოსჩანს. ჩვენ, ცხადია, ამ ფულს არ ავიღებთ. ახლა მოვიკრიბე ძალა და ველაპარაკე ქალბატონ აზას, ქალს რომლის ხმა ძლივს მესმოდა, მაგრამ ყველაზე ცხადი ხმა იყო, რაც მსმენია. ასეთი რამ დავგეგმეთ - სოფელ ბარდუბნის სკოლაში თანამედროვე ბიბლიოთეკას გავაკეთებთ. თურმე მარიამიც ახალ წიგნებზე ოცნებობდა. და ეს ბიბლიოთეკა მარიამის სახელობის იქნება. ისეთივე, როგორც ივლიტასი გავაკეთეთ ჩოხატაურში. ეს არის მხოლოდ, რაც შეგვიძლია“.

ამაზე მეტი რა უნდა გააკეთოთ ბატონო!

გმადლობთ!

მარიამის ძმა კი გვატყობინებს, რომ ოჯახი მარიამის გადასარჩენად შემოსულ 30 000 (ოცდაათი ათას) ლარს ასე განკარგავს—„მეგობრებო, პირველ რიგში ყველას დიდი მადლობა გვერდში დგომისთვის და ჩვენი ტკივილის გაზიარებისთვის. ყველას უღრმესი მადლობა, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა მარის დახმარებაში. იმის გათვალისწინებით, რომ შემოსული თანხები სამწუხაროდ მარის ვეღარ მოხმარდება, გადავწყვიტეთ, მარის სახელით, დავეხმაროთ ისეთ ადამიანებს, ვისაც ჩვენი გვერდით დგომა სჭირდება. დასახმარებელი თანხის რაოდენობა შეადგენს 30000 ლარს. გადავწყვიტეთ საჭიროებისამებრ გავანაწილოთ თანხა რამოდენიმე ადამიანზე, რა თქმა უნდა ეს თანხა, არ განაწილდება მხოლოდ 2-3 ადამიანზე“.

* * *

დიახ, „სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი“. მარიამ ბარდაველიძემ სიკვდილის შემდეგაც დატოვა ნათელი კვალი. დაიწყო მარიამის დასახმარებლად მოგროვილი თანხის— 30 000 ლარის გადარიცხვა ადამიანებზე, რომლებიც მკურნალობენ, ან ძალიან სჭირდებათ სამედიცინო დახმარება.

* * *

ღირსეული საქციელია ოჯახისაგან, სიცოცხლე კი გაგრძელდება ბატონ რამაზის ოჯახში, ვეფხია იქნება ფუძე და ბალავერი, პატრონად დაუდგება დედას, ქალბატონ აზას და პატარა დას ლიზის... მარიამი კი მშვიდად იქნება, სათაყვანებელი ბარდუბნის მიწას მიბარებული!

ჟუჟუნა ცხადაძე

ფრთხილად—საჭესთან წამიერი ჩათვლემაც კი სავალალო შედეგით მთავრდება!..

ეს ყველამ ვიცით. შესაბამისი სამსახურები, მედიკოსები, ცხოვრებაგამოვლილი ბრძენი ადამიანები გვმოძღვრავენ, გვირჩევენ, გვაფრთხილებენ, რომ: საჭეს არ უნდა წავეკაროთ არც ნასვამ მდგომარეობაში, არც ნაბახუსევზე. უფრო მეტად საშიშია თუ კარგად გამოძინებული არა ხართ და მაინცდამაინც მაშინ მოგინდებათ საჭესთან მიჯდომა. გადადეთ საქმე, ნუ გარისკავთ, ნუ შეუქმნით საფრთხეს ზენაარისაგან ნაბოძებ ფიზიოლოგიურ არსებობას, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მუდამჟამს მოგვიწოდებენ, რომ საჭესთან ჯდომისას სიფხიზლე და ჯანმრთელ მდგომარეობაში ყოფნა აუცილებელია!

უნდა ამოვიღოთ თავიდან, რომ ერთი ჭიქა ღვინო ან სულ მცირე რაოდენობის სხვა ალკოჰოლური სასმელი თითქოს არაფერს გვიზამს.

გვახსოვდეს, რომ დაღლილი ან სტრესული მდგომარეობაც ზრდის წინასაავარიო შემთხვევების ალბათობას.

არსებობს დაავადებები, რომლებიც საჭესთან მყოფთა მოულოდნელ გათიშვას ან მხედველობის დაქვეითებას იწვევს. საჭესთან გონების დაკარგვის მიზეზი, როგორც ექიმები გვიხსნიან, შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ფსიქიკური აშლილობაც. ფრიად საშიშია ასევე ეპილეფსია და შაქრიანი დიაბეტი. ამ დროს მესაჭე გონებას კარგავს ან მხედველობა უქვეითდება. ასევე, ყურადსაღებია სენი—ძილიანობა სუნთქვის უკმარისობის ფონზე. ეს უმეტესწილად ჭარბწონიან ადამიანებს აწუხებთ. ზოგ მათგანს იქ ჩაეძინება, სადაც კი ჩამოჯდება. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს მძღოლები საჭესთან ჯდომას საერთოდ უნდა მოერიდონ.

როდესაც ორგანიზმი ვერ ახერხებს გამოფხიზლებას, მძღოლმა ავტომობილი გზის კიდეზე უნდა გააჩეროს და ცოტა წაუძინოს, თუნდაც ნახევარი საათით. არსებობს სხვა მეთოდებიც.

მაგ. ფეხსაცმლის გახდა და ასეთ მდგომარეობაში საჭის მართვა; კონდიციონერის ჩართვა და სხვ.

მძღოლებმა მაქსიმალურად უნდა დაიცვან (გაითვალისწინონ) ეს მეთოდები. არ დაინანონ დაკარგული წუთები მთელი სიცოცხლის დაკარგვის საპირწონედ!

ცალკე თემაა—ყველგან და ყოველთვის ვიყენებთ თუ არა უსაფრთხოების ღვედებს. შესწავლილია, რომ უსაფრთხოების ღვედების გამოყენებისას უბედური შემთხვევები შედარებით ნაკლებია. აქედან, აზრს არის მოკლებული თითქოს სოფლად გადაადგილების დროს უსაფრთხოების ღვედების გამოყენება არც ისე აუცილებლობას წარმოადგენდეს.

მძღოლებო, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევების გამო მომხდარი ავარიებისთვის მკაცრი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გეკისრებათ.

და, თუ მაინც აქსელერატორისკენ გაგირბით ფეხი —აცხონეთ ძველი ლათინების სულები და „იჩქარეთ ნელა“.

ნუგზარ გამყრელიძე

პუბლიკაცია მომზადებულია სათანადო ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით.

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“



მურად წივწივაძის მოულოდნელ და ნაადრევ გარდაცვალებას გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა. „მისიის კაცზე“ წერენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები. თვალის ერთი გადავლება არ არის საკმარისი, ამ გაზეთს უნდა „ჩაუჯდე“, რათა სრული წარმოდგენა შეგექმნათ ბატონი მურადის განვლილ გზაზე. „ჩავუჯექით“ და დავფიქრდით მაშინ მურადის თერჯოლელი მეგობრები. რა გვეთქვა ჩვენ, ლიტერატურული საქართველოს, გაზეთ „დილას“ რედაქციელების, ათეულობით მწერლის ერთობლივი განცხადების, ბატონების: თეიმურაზ ლანჩავას, თამაზ კვაჭანტირაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, საზოგადოება „ქუთაისის“ ცნობილი ქართველი მწერლების საზოგადო მოღვაწეების მიერ სხვადასხვა დროს მურადისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსების და მოგონებების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მასზე, როგორც ფეხბურთელების მწვრთნელზე წიგნია დაწერილი...

დავფიქრდით და აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენ, თერჯოლელებსაც გვაქვს სათქმელი, მოგონებები და განცდები უახლოეს მეგობარზე მურად წივწივაძეზე...

„შენ გიცხოვრია როგორც უნდოდა“

მიუხედავად იმისა, რომ ნომენკლატურული კადრების შერჩევა-განაწილებას პარტიულ ხელმძღვანელთა მცირე ჯგუფი ახდენდა, მაინც გავრცელდა ხმა—თუ ვინ დაიკავებდა ვაკანსიას თერჯოლაში რაიკოპერატივის თავმჯდომარის თანამდებობაზე. თერჯოლაში მურადს ბევრი იცნობდა, ბევრი არა. მის ვინაობას ერთმანეთს ასე ვაცნობდით: ყოფილი ფეხბურთელი და დამსახურებული მწვრთნელი, ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში რომ გადაიყვანა, მწერლების და ჟურნალისტების დამფინანსებელი, გაჭირვებულის ხელის გამმართველი, უნაკლო გარეგნობის, ვაჟკაცი და თავისუფალი...

როგორც იქნა მოვიდა და შეწყდა „ჭორაობა“. მოვიდა და ბევრი ღირსება თან მოიტანა, სითბოთი და სიყვარულით დავხვდით ჩვენც. მალე დაუახლოვდა თერჯოლელებს, ისე მივიღეთ, თითქოს მთელი ცხოვრება ჩვენს გვერდით იყო... ხშირად გამოდიოდა სიტყვით რაიკომის პლენუმებზე და აქტივის კრებებზე, აყენებდა საქმიან წინადადებებს, მიუხედავად სიძნელეებისა, ბოლომდე იბრძოდა მისი შესრულებისათვის, ვაჭრობის სისტემა გეგმებს ასრულებდა და ბიუჯეტს ავსებდა... მურადის პიროვნებაში მთავარი ხიბლი მაინც ძმობა-მეგობრობაში აისახა, იყო უღალატო, მომხრე, სხვისი გაჭირვების გულთან მიმტანი, თითქმის შეწყდა პარტიის რაიკომში შემოსული, როგორც აშკარა, ისე ანონიმური საჩივრები. ეს ამ სისტემისათვის იშვიათობა იყო.

შრომობდა, ქმნიდა, აკეთებდა, ამიტომ უპოვარი არასოდეს ყოფილა. უშოვნია, დაუხარჯია, გაუცია, უყვარდა სუფრა და მეგობრების მიწვევა. მის ოჯახში ხშირად ვიკრიბებოდით, მასთან ურთიერთობის ყოველი წუთი იყო დასამახსოვრებელი, საინტერესო და საქმიანიც.

ჩვენთვისაც ავად გათენდა 2020 წლის 2 აგვისტო, ჩვენც მალე გავიგეთ მისი გარდაცვალების ამბავი, მწუხარებამ დაისადგურა ჩვენს გულში, გაცხადდნენ მოგონებები, პანაშვიდზე რომ მივედით, ქალბატონმა ნელიმ, მურადის მშვენიერმა მეუღლემ, მძიმე წუთებშიც კი გაიხარა, დაინტერესდა, როგორ ვცხოვრობდით მურადის თერჯოლელი დაქალები, სწორედ აქ ვიგრძენით, როგორ დაგვკლებია, როგორ მოგვნატრებია არა მარტო მურადი, არამედ ოჯახი, შვილები, რომელთა ქორწილში, მურადი თუ მისი მეუღლის დაბადების დღეებზე ჩვენი ადგილი დაგვიანების შემთხვევაშიც კი თავისუფალი იყო და გაიელვა ნაწილობრივ ჩრდილგადაფარებულმა წარსულმა...

მძიმეა ოჯახის მწუხარება და ჩვენიც. მურადს მთელ საქართველოსთან ერთად თერჯოლაც გამოეთხოვა, გამოეთხოვა კაცს, რომელიც წლების განმავლობაში თერჯოლური ცხოვრებით ცხოვრობდა, კვახჭირი, მისი მშობლიური სოფელი, კიდევ უფრო ახლობელი გახდა მისთვის და ნავთსაყუდრად იქცა...

ადრე წახვედი მურად, ძმაო და მეგობარო. ახლა შენი ცადამაღლებული სული იქიდან, უფლის წიაღიდან მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ყველაფერი, რაც ამაღლებულია, რაც ზნეობრივია, მისაბაძია, რაც მართალი და პატიოსანია...

ნუ დაღონდები ძმაო, შენნაირ განვლილ 77 წელს ბევრი ინატრებს, სიკვდილსაც, რადგან „შენ გიცხოვრია როგორც უნდოდა“, შენს სახელს დავიწყების ჩრდილი არ გადაეფარება და არც საფლავთან მისასვლელ ბილიკზე ამოვა ბალახი, მაგრამ მაინც, „სიკვდილი სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა“—მშვიდობით იყავი შენ სევდასთან და შენს მყუდრო ძილში, გემსუბუქოს სათაყვანებელი კვახჭირის მიწა.

შენ ზუსტად გესადაგება ამ მოკრძალებული გამოსათხოვარის სათაური, დიახ, ქარიშხალს ჰგავდა შენი სიცოცხლე, სიკვდილი კი მეხის გავარდნას, მეხი კი უფრო ხშირად მუხას ეცემა, მუხა იყავი ძლიერი და ფესვმაგარი.

ორმოცი დღეც გავიდა და მურად წივწივაძის სული ზეცაში დამკვიდრდა. ახლოვდება 29 ოქტომბერი, მისი დაბადების დღე.

უნდა გავიხსენოთ: წელიწადში ორჯერ ვახდევინებდით დაბადების დღეს—15 მაისს და 29 ოქტომბერს, რაშიდაც თავი დამნაშავედ არასდროს გვიგრძვნია — ავტობიოგრაფიაში და ანკეტაში ხან 15 მაისს წერდა და ხან 29 ოქტომბერს. გავუგზავნიდით სტამბური წესით ამობეჭდილ მოსაწვევ ბარათს და ხალისით ველოდებოდით ხაზის ტელეფონით მიპატიჟებას, რომ გადაგვიწყდებოდა, დარეკავდა: ჯიბგირები ხართ, მიდით ყირამალაში, მეც მალე მოვალო.

თერჯოლელი მეგობრები

პწკარები

ყური ავუწიოთ სიზარმაცეს.
ის სიყვარულს ანელებს...

* * *

როცა ამაყობთ პატიოსნობით, ჩრდილს აყენებთ თქვენს პატიოსნებას...

* * *

სასვენი ნიშნების გამოყენება ზეპირსიტყვიერებაშიც არის საჭირო.

* * *

ზოგი ჭირი შეიძლება მართლაც იყოს მარგებელი, მაგრამ ჭირი მაინც ჭირია!

* * *

წყალი მხოლოდ დაღმართ-დაღმართ მიედინება. მას არა აქვს „სხვა გზა“.

* * *

თანამედროვე ტექნიკა სასწაულებს გვთავაზობს, მაგრამ არა ისეთს, წიგნი როა!

* * *

დღეს საქართველოში უფრო ცოტა ქართველი ბავშვი იბადება. ვიდრე „სხვა გორისანი?!“

ეს სადაური ანგარიშია?
ერიჰა�ა...

* * *

ეროვნული სული მხოლოდ სუფრასთან არ უნდა სუნთქავდეს...

* * *

ყოველ ადამიანში თავის საკუთარი ღმერთი ცოცხლობს.
ეს ღმერთები ერთ ენაზე არ ლაპარაკობენ...

* * *

სასწაულთა შორის უპირველესი ადამიანია!

* * *

ყველაზე დიდი სასწაული რაც ადამიანმა შექმნა, ეს სალაპარაკო ენაა.

* * *

ყოველდღიური ნახვის შემდეგ მონა ლიზაც მოგბეზრდებათ.

* * *

ადამიანები წყნარი ცხოვრებისათვის შფოთავენ...

ნუგზარ გამყრელიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული: „მოიძიეთ პასუხები და გაერთეთ“—პასუხები:

—მწერალი რევაზ ჯაფარიძე
—იყალთოელი
—ოთარაანთ ქვრივი
—ჩარლი ჩაპლინი
—გალაკტიონ ტაბიძე
—ფეხბურთელი მიხეილ მესხი (არგენტინელი ჟურნალისტის შეფასებით)
—ყველას
—სკანდე (საქართველოს ენციკლოპედიის მიხედვით)
—1983 წლიდან
—ერთიდაიგივე პიროვნება
—სანამ ურემი გადაბრუნდება
—კორონავირუსის

ბრძოლა თასისათვის და კემბრიჯისათვის მოგებულია...

დიახ, ბრძოლა მოგებულია და ახალგაზრდა, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლის „წიგნის თაროს“ გადაცემაში თამაშის ბედი გადაწყვიტა, უფრო ადრე კი გუნდის ჩამოყალიბება ითავა, ლაშა საცერაძეა; იგი თითქმის თერჯოლაში თავის დედულეთში გაიზარდა. საუბარია რომან რიჟამაძის ოჯახზე, რომლის თითოეული წევრი განათლებით, შრომისმოყვარეობით, წიგნიერებით თუ სხვადასხვა ღირებულებებით გამორჩეულნი არიან.

რომან რიჟამაძე, ლაშას ბაბუა, ხელოვნებასთან წილნაყარი კაცი, ამჟამად პენსიონერი, წლების განმავლობაში ემსახურებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს სამხატვრო სკოლასა და თერჯოლის №1, №2 და კიდევ რამდენიმე საჯარო სკოლებში, ხოლო ბებია, ასევე სამხატვრო სკოლის ყოფილი თანამშრომელი მანანა ჯმუხაძე, რომელიც დღეისათვის საზღვარგარეთ იმყოფება, სიყვარულით და რუდუნებით ზრდიდა პატარა ლაშას... მასზე ზრუნავდნენ დეიდები ეკა და თეა რეჟამაძეები, ანუ შეიძლება ითქვას ლაშა თერჯოლაში ყოველთვის ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს. ასეა დღემდე... თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლები ღვაწლი აქვთ მშობლებს შორენა და თენგო საცერაძეებს, რომლებიც შვილის აღზრდასა და განათლებას უდიდესი პასუხისმგებლობით უძღვებიან.

ლაშამ თბილისის №50 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. წიგნის კითხვა ბავშვობიდან უყვარდა, ერთნაირი გატაცებით კითხულობს როგორც ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, ასევე იზიდავს საზღვარგარეთის მწერლობა... გამორჩეულად საყვარელი მწერლები ჰყავს და საყვარელი ნაწარმოებებიც.

ინტერესიანი და მიზანდასახული ახალგაზრდა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებულ გადაცემაში, „წიგნის თარო“, გასულ წელს ლაშას საუკეთესო შედეგი ჰქონდა, მე-6 სასკოლო სეზონში მონაწილეობისას, მან როგორც მაყურებლის რჩეულმა სამეულში მოხვედრა შეძლო.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ, მას შემდეგ რაც გასულ წელს სკოლა წარმატებით დაასრულა და სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა, ისევე აქტიურად გააგრძელა ბრძოლა მიზნისკენ, თასისათვის და კემბრიჯისათვის, ამჯერად წიგნის თაროს მე-4 სტუდენტურ სეზონში, რომელიც გამარჯვებულ გუნდს ელოდება...

წლევანდელი სეზონი დაძაბული და ასე ვთქვათ, ექსტრემალური აღმოჩნდა. მსოფლიოში და პარალელურად საქართველოში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა ახალი რეგულაციები დააწესა და „წიგნის თაროც“ სატელევიზიო აუდიტორიის ნაცვლად ჯერ შეჩერდა, შემდეგ კი დისტანციურ რეჟიმში გადაინაცვლა, ბუნებრივია, ახალი წესების დაცვით.

ლაშა და მისი გუნდი, ანუ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „წიგნის თაროს“ IV სტუდენტურ სეზონში „შავი მამბას“ სახელწოდებით ასპარეზობდა და წარმატებულ შედეგებს დებდა... ასე მივიდა ფინალამდე.

ფინალური თამაში კი, ანუ პირველობისათვის ბრძოლა ორ უძლიერეს გუნდს შორის გაიმართა. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი „ექსელიც“ მთელი სეზონის განმავლობაში წარმატებულად ასპარეზობდა და ლაშას და მისი გუნდის წევრებს მისი სახით ძლიერი კონკურენტიც ჰყავდა...

დიდ ფინალს მოუთმენლად მოელოდნენ როგორც „შავი მამბას“ წევრები და მათი გულშემატკივრები, ასევე „ექსელის“ წევრები და მათი გულშემატკივრები...

ანუ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემის „წიგნის თაროს“ იმ დღეს უამრავი მაყურებელი ადევნებდა თვალყურს... თითოეული ბოლო წუთამდე სვამდა კითხვას, ვინ მოიგებს თასს, ვინ წავა კემბრიჯში? ანუ ვინ გახდება ჩემპიონი?

ფინალი მართლაც, რომ ძალზე საინტერესო გამოვიდა... იყო ღელვა, ემოციები... მხარდამჭერთა აქტიურობა...

ბოლო წუთებამდე არ იყო გარკვეული რომელი გუნდი გაიმარჯვებდა, თანაც ეს ყველაფერი იყო მაყურებლისათვის ძალიან საინტერესო და სიამოვნების მომგვრელი... როცა ხედავ როგორი წიგნიერი განათლებული და მიზანსწრაფული ახალგაზრდები მოდიან... ჩნდება იმედიც...

მაშ ასე, თამაში დასრულდა, ქულები დათვლილია და ჩემპიონებიც ცხადდებიან. ესენი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდ „შავი მამბას“ წევრები: გიორგი მერკვილიშვილი, ლაშა საცერაძე, თორნიკე ჩოგოვაძე... სწორედ ისინი გახდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემის „წიგნის თაროს“ სტუდენტური სეზონის გამარჯვებულები. თასი მათია, ჩემპიონობაც მათია და წინ ახლა დიდ ბრიტანეთში კემბრიჯის სკოლა ელოდებათ.

მანამდე კი, ანუ დიდი ფინალის მეორე დღეს „წიგნის თაროს“ მონაწილეებისათვის პროექტის ორგანიზატორების მიერ ქალაქ „მზიურში“ ღონისძიება გაიმართა, სადაც ახალგაზრდებმა დაისვენეს, გაერთვნენ და დიდი სიამოვნებაც მიღეს კონცერტისაგან, რომელშიც გამოჩენილი მომღერლები მონაწილეობდნენ... სადაც აგრეთვე გამოჩენილი ადამიანები შესაქებ სიტყვებს არ იშურებდნენ წიგნიერი ახალგაზრდების მიმართ.

ლაშა საცერაძე გუნდის ლიდერი და ამავე დროს ბლიცის ექსპერტია. მისი ფუნქცია გუნდში ბლიცურობა, ნებისმიერ მომენტში ანგარიშზე სიმშვიდის შენარჩუნება და მთელი კონცენტრაციის თამაშზე მიმართვა იყო, რასაც ჩინებულად გაართვა თავი... ლაშას საყვარელი წიგნებია: „ცხოველების ფერმა“, „მრისხანების მტევნები“ და დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, გამოარჩევს აგრეთვე დოსტოევსკის და ფილიპ დიკის შემოქმედებას...

გამარჯვების შემდეგ ლაშა თერჯოლაში, ტრადიციულად დედულეთს ესტუმრა, სადაც უამრავი მეგობარი, ახლობელი, საყვარელი ადამიანები და თაყვანისმცემლები ჰყავს.

„თერჯოლას“ კითხვებზე როგორ შეიქმნა და შეიკრიბა გუნდი „შავი მამბა“, ელოდნენ თუ არა გამარჯვებას და როგორი იყო მისი განცდა, როცა გამარჯვების თასი ასწია, ლაშასაგან ასეთი პასუხი მივიღეთ:

„გუნდის ჩამოყალიბებას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს, გიორგისთვის ჯერ კიდევ წინა ზაფხულს მქონდა ნათქვამი, რომ „წიგნების თაროში“ ერთი გუნდის შემადგენლობაში გვეასპარეზა, ხოლო, რაც შეეხება „ჩოგოს“, მისი დამატების იდეა მესამე სტუდენტური სეზონის ფინალის დასრულების შემდეგ გამიჩნდა.

თავდაპირველად, მოგების მომენტში, თითქმის საერთოდ ვერ გავიაზრე, რომ გამარჯვებული ვიყავი, შემდგომ ამისა კი, ვფიქრობ, ამაზე კარგი განცდა იშვიათად თუ განმიცდია, მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი სიამაყის საფუძველია ამდენ ნიჭიერ თანატოლთან კონკურენციაში მოპოვებული ჩემპიონობა.

ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული იყო თითოეული ადამიანის მხარდაჭერა და აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ქალაქ თერჯოლას, რადგან მათი დიდი დამსახურებაა, რომ მე შარშან წიგნების თაროს მე-6 სასკოლო სეზონში ხალხის რჩეულის სამეულში მოხვედრა შევძელი და სულ ცოტა დამაკლდა კემბრიჯში წასვლამდე, ეს ოცნება კი უკვე წელს ჩემპიონობით ავიხდინე“.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია გამარჯვება მივულოცოთ ლაშას და მის ახლობლებს და ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდას, რომლითაც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, თითოეულმა ჩვენგანმა ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872